ასე გეთამაშოს ფინალშიც!

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის ”დინამოს” სტადიონი. 30 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი” (დონეცკი) 3:0 (2:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, ჭილაია, მინაშვილი, შენგელია, ყიფიანი, ცაავა (ჟვანია).

“შახტიორი”: დეგტიარევი, ვარნავსკი, ზვიაგინცევი, კონდრატოვი, პიანიხი, რუდაკოვი, როგოვსკი, სოკოლოვსკი (სტარუხინი), ვ. მალიი, ფედორენკო (გრაჩოვი), ლ. მალიი.

მსაჯი: ე. აზიმ–ზადე (ბაქო).

დუბლიორები – 2:1. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს კერესელიძემ და მუმლაძემ.

XXII ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის პერიოდში საკავშირო ჩემპიონატი ჩვენი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის დროებით წყდება. I წრის დასასრულამდე დარჩა სულ 2 ტური, მერე კი დგება 9 აგვისტო – სსრ კავშირის თასის ფინალის დღე, სადაც საპატიო პრიზისთვის იბრძოლებენ სწორედ გუშინდელი მეტოქეები – თბილისის “დინამო” და დონეცკის “შახტიორი”. ამდენად, განვლილი მატჩი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ძალთა გარკვეული მოსინჯვა ფინალისტთა შორის, შეიძლება ითქვას, მათი გენერალური რეპეტიცია.

ამას გარდა, გუშინდელი მატჩისთვის საკავშირო ჩემპიონატის ცხრილში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ “შახტიორსა” და თბილისის “დინამოს” შორის განსხვავება სულ 2 ქულამდე დავიდა და დონეცკელ ფეხბურთლებს წარმატების შემთხვევაში ეძლეოდათ მეტოქის დაწევის შესაძლებლობა.

ცხადია, ამ შესაძლებლობის რეალიზაციისთვის “შახტიორს” არაფერი დაუკლია, ბევრნაირად ეცადა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა: თბილისელები ერთი თავით მაღლა იდგნენ მოწინააღმდეგეზე და მათი გამარჯვება უფრო იოლიც გამოდგა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

იმ სიტუაციაში, რომელშიც ახლა თბილისის “დინამო” იმყოფება, ძალზე საჭირო იყო პირველი წარმატება, პირველი გოლი, რომელიც შემდგომში ფსიქოლოგიურ დაძაბულობას, ნერვიულობას მოუხსნიდა მოთამაშეებს, საშუალებას მისცემდა ეჩვენებინათ ის პირველხარისხოვანი თამაში, რომელიც მათ სულ ამ რამდენიმე ტურის წინ ჰქონდათ.

საამისოდ ბრძოლა დინამოელებმა პირველივე წუთებიდან გააჩაღეს. უკვე მე–5 წუთზე საგოლე პოზიციაში გავიდა შენგელია და მდგომარეობა ბოლო წამს იხსნა დეგტიარევმა. ამას მოჰყვა დარასელიას ძლიერი დარტყმა, ცაავას და მინაშვილის გარღვევები, კვლავ შენგელიას დარტყმა, დეგტიარევი კი შეუცდომლად, ნამდვილი ოსტატობით იცავდა კარს.

მაგრამ ასეთ იერიშებს არ შიძლებოდა გოლი არ მოჰყოლოდა, ვინაიდან მასპინძელთა წინა ხაზის მოთამაშეები აშკარად სჯობდნენ მოპირდაპირე მცველებს სისწრაფეშიც, მოულოდნელ მანევრშიც და შუა ტაიმისთვის თამაშის მთელმა სიმძიმემ “შახტიორის” საჯარიმო მოედანზე გადაინაცვლა.

35–ე წუთზე თბილისელ თავდამსხმელთა კომბინაციის შემდეგ ბურთი წამით დარჩა ღიად მყოფ შენგელიას, რომელმაც ეს შანსი უნაკლოდ გამოიყენა – 1:0. ორიოდე წუთის შემდეგ დეგტიარევმა, ალბათ, ერთადერთი შეცდომა დაუშვა ამ

მატჩში, წინდაუხედავად დატოვა კარი და გამოცდილმა შენგელიამ მაშინვე გაგზავნა თავით ბურთი იმ ცარიელ ადგილას, სადაც წამის წინ იმყოფებოდა მეკარე – 2:0.

მეორე ტაიმში დინამოელებმა კიდევ უფრო მეტი სიმსუბუქით, იოლად წარმართეს თამაში, მეტოქეს სულ რამდენიმე კონტრშეტევის შესაძლებლობა დაუტოვეს და მაშინაც დაცვა, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა ხინჩაგაშვილი, არ აძლევდა სტარუხინსა და მის პარტნიორებს კარში დარტყმის საშუალებას.

64–ე წუთზე "შახტიორის" მცველებს სწრაფად გაექცა ცაავა, იგი უეცრად წააქციეს საჯარიმო მოედანზე და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. შენგელიამ ზუსტად მიიყვანა თავისი საქმე "ჰეთ–თრიქამდე" – 3:0.

თბილისის "დინამომ", ვიმეორებთ, საკმაოდ იოლად, დიდი უპირატესობით დაამარცხა თასის ფინალის მომავალი კონკურენტი, მაგრამ აქ ვსარგებლობ მომენტით და მინდა აღვნიშნო ახალგაზრდა ფეხბურთელების ცაავას, თავაძის, აგრეთვე, ჟვანიას გაბედული, ენერგიული, მაღალკვალიფიციური თამაში, ვუსურვო მათ შემდგომი დაოსტატება, ადგილის დამკვიდრება ძირითად შემადგენლობაში.

რ. ძოძუაშვილი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

"ლელო", 1 ივლისი, 1980 წ.